ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5090445

ნომერი: AR1769769

თარიღი : 25.08.2020

გაცემის თარიღი : 03.09.2020

გაცნობის თარიღი : 03.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა, N 9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჯაფარიძე პ/ნ 01009008406
- რატევანის ქ. 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №4931234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 25 აგვისტოს №AR1769769 განცხადებით მომართა გიორგი ჯაფარიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №4931234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №4931234 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა, №9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა №11-ის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.001.522) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 21 აგვისტოს №5073922 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 21 აგვისტოდან 2021 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №4931234 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 3466.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3277.5 კვ.მ., საოფისე ფართობი 1016.4 კვ.მ-ის ნაცვლად 949.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1060.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1033.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1241.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1022.7 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 731.7 კვ.მ-ის ნაცვლად 621.4 კვ.მ. საერთო ფართობი 8670.2 კვ.მ-ის ნაცვლად 8057.6 კვ.მ. ამასთან, მოთხოვნილია განაშენიანების ფართობის 8686.0 კვ.მ-ის ნაცვლად 868.8 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №4931234 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 3277.5 კვ.მ., საოფისე ფართობი: 949.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობი: 1033.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1022.7 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი: 621.4 კვ.მ. საერთო ფართობი: 8057.6 კვ.მ. განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს 868.8 კვ.მ
2. სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №4931234 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №4931234 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 აპრილის №4931234 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.